

## არსებითი სახელების მზისებრი მოდელი

როგორც აღინიშნა, პოლისემანტური სიტყვის ცალკეულ მნიშვნელობებს შორის არსებული აზრობრივი კავშირები წარმოშობენ სიტყვის ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტების სხვადასხვა არანაპირებას, რის შედეგადაც წარმოიქმნება პოლისემანტური სიტყვის სტრუქტურის სხვადასხვა სქემა, კარკასი, მოდელი.

განვიხილოთ პოლისემიური სიტყვების ერთ-ერთი უნივერსალური მოდელი - მზისებრი მოდელი.

მზისებრი მოდელი ძირითადად არსებით სახელებშია გავრცელებული.

არსებითი სახელი საგნების იდენტიფიკაციას ახდენს. ამდენად, მათი მნიშვნელობის სემანტიკურ სტრუქტურაში ბევრი სემანტიკური კომპონენტი, რომელიც აღნიშნულ საგანთან დაკავშირებულ სხვადასხვა ნიშან-თვისებას აღნიშნავს.

სიტყვა **father**-ს მნიშვნელობის სემანტიკურ სტრუქტურაში ჩვენ გამოვყავით მთელი რიგი სემანტიკური კომპონენტები:

### father

**1.** 1) მამა; adoptive father მამობილი; natural father უკანონო შვილის მამა; 2) ქომაგი / მფარველი, ვინც მამობას უწევს ვინმეს; to be a father to smb. ვინმესთვის მამობის გაწევა; **2.** 1) რისამე შემქმნელი, შემოქმედი; the Fathers (of the Constitution) ამერ. ისტ. აშშ-ს კონსტიტუციის ავტორები / შემქმნელები; F. of the Constitution „კონსტიტუციის მამა“ (პრეზიდენტ ჯ. მედისონის მეტსახელი); the Fathers of the Church ეკლესიის მამები; 2) მამამთავარი, წინაპარი, ფუძემდებელი; the F. of English printing ინგლისში წიგნის ბეჭდვის მამამთავარი (უ. კეისტონის მეტსახელი); father of English poetry ინგლისური პოეზიის ფუძემდებელი (ჯ. ჩოსერის მეტსახელი); 3) წინამორბედი; პროტოტიპი; **3.** უხუცესი წევრი; უფროსი, ხელმძღვანელი; city fathers ქალაქის თავნი / ქალაქის მუნიციპალიტეტის წევრები / ოლდერმენები; **4.** (F.) მამაზეციერი, ღმერთი; **5.** სულიერი მამა, მოძღვარი; მღვდელი; ეპისკოპოსი.

**1. a.** One by whom a child is or has been begotten, a male parent, the nearest male ancestor. Rarely applied to animals.

**c.** (More explicitly *spiritual father*.) The teacher to whom a person owes his religious life.

**e.** Colloquially extended to include a father-in-law, stepfather, or one who adopts another as his child (more fully *adoptive father*).

**f.** Applied *transf.* to the relative or friend who 'gives away' a bride.

Also *father-in-church*.

**2.** A male ancestor more remote than a parent, *esp.* the founder of a race or family, a forefather, progenitor. In *pl.* ancestors, forefathers. So in Scriptural phr. *to be gathered, †to be put to or sleep with one's fathers*: to be dead and buried. Also loosely for 'a man of old', 'a patriarch'.

**3. a.** One who institutes, originates, calls into being; a constructor, contriver, designer, framer, or originator. Also one who gives the first conspicuous or influential example of (an immaterial thing). *the Fathers* (U.S.): the framers of the constitution.

Often in designations of Biblical origin. *the Father of Lights*, etc.: applied to God. *the father of faith, of the faithful*. Abraham. *the father of lies* (after John viii. 44): the Devil.

**b.** *pl. the Fathers (of the Church)*: the early Christian writers; usually applied to those of the first five centuries, but by some extended further. *Apostolical Fathers*: see [APOSTOLICAL](#).

4. a. One who exercises protecting care like that of a father; one who shows paternal kindness; one to whom filial reverence and obedience are due. (In OE. applied to a feudal superior.)

b. with reference to patronage of literature.

5. a. Applied to God, expressing His relation to Jesus, to mankind in general (considered either as His offspring, as the objects of His loving care, or as owing Him obedience and reverence), or to Christians (as His children by regeneration or adoption). Also applied to heathen gods.

c. *Theol. (God) the Father*: the First Person of the Trinity.

d. *the Holy Father*: the Pope.

9. a. The oldest member of a society, etc. (Chiefly, with reference to duration of membership; occas. with reference to age.) *Father of the City*, the senior alderman of the City of London.

c. Hence, The presiding member, or president; also, The leading individual of a number. Phr. *Father of waters*, etc.; in later U.S. use *spec.* the Mississippi.

10. a. *pl.* (rarely *sing.*) The leading men or elders of a city or an assembly.

ზემოთმოყვანილი დეფინიციების ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვეყოთ შემდეგი სემანტიკური კომპონენტები:

1. *being male parent human (იშვიათად – being male parent animal), დეფინიცია 1 a;*

2. *being the founder, originator of, დეფინიცია 2, 3a;*

3. *calling into being, დეფინიცია 3a;*

4. *giving the first conspicuous or influential example, დეფინიცია 3a;*

5. *exercising protecting care, დეფინიცია 4a;*

6. *showing paternal kindness, დეფინიცია 4a;*

7. *owing filial reverence and obedience, დეფინიცია 4a;*

8. *showing / having loving care, დეფინიცია 5a;*

9. *being the oldest member of, დეფინიცია 9a;*

10. *being the presiding member of, დეფინიცია 9c;*

11. *being the leading individual of, დეფინიცია 9c.*

თითოეული ზემოთმოყვანილი კომპონენტი მამასთან ასოცირებულ ნიშან-თვისებას აღნიშნავს. ეს სემანტიკური კომპონენტები ხდება სწორედ მნიშვნელობის გადატანის საფუძველი, სწორედ მათი მეშვეობით უჩნდება სიტყვას **father** შემდეგი მნიშვნელობები:

\* მამა (*being male parent human*);

\* ქომაგი / მფარველი, ვინც მამობას უწევს *ვინმეს (exercising protecting care towards smb, smth)*;


\* *რისაზე* შემქმნელი, შემოქმედი (*being the founder, originator of smth*);

\* მამამთავარი, წინაპარი, ფუძემდებელი (*being the founder, originator of family, race*);

\* მამაზუციერი, ღმერთი (*showing / having loving care towards mankind*);

\* სულიერი მამა, მოძღვარი (*calling into spiritual being*).

ამრიგად, ინგლისური სიტყვა **father**-ის ყველა ზემოთმოყვანილი ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტი მისი ძირითადი მნიშვნელობის სემანტიკური სტრუქტურის შემებისაგან აღმოცენდება და აღნიშნული მნიშვნელობები მზის სხივების მსგავსად განლაგდება სიტყვის ძირითადი მნიშვნელობის ირგვლივ (იხ. სურათი 1).



სურათი 1